მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი №3

ქ. მარნეული

29.08.2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: კენან ომაროვი /მერი /

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

სხდომას ესწრებოდნენ: როინ დეკანოიძე/მერის პირველი მოადგილე/, ზურაბ ფანგანი /მერის მოადგილე/, თემურ შუბითიძე/მერის მოადილე/,კობა ჩხიტუნიძე /საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/, მამუკა შუბითიძე /ადმინისტრაციული სამსხურის უფროსი/აგილ ამირჯანოვი / ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/, ბექა აბდელანი/ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი/, ილია ყალაბეგაშვილი /ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი/, დავით არაშიძე / ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მ.შ /.

სხდომის დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა; /მომხს.კობა ჩხიტუნიძე/

მოისმინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კობა ჩხიტუნიძემ წარმოადგინა 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის , (სადაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ N 04-03/56866, 13/07/2023 წერილით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოწოდებული 2024-2027 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, საშუალო წლიური ინფლაციის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ), ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ბაზაზე დაყრდნობით შემუშავებული 2024-2027 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.

სიტყვით გამოვიდნენ:

მერმა, კენან ომაროვმა აღნიშნა, რომ 2024-2027 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა იქნება ბაზა საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპებისათვის და დაავალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს იმოქმედოს სრულ კოორდინაციაში მერიის სამსახურებთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან, რათა დადგენილ ვადებში მომზადდეს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

აზრი გამოთქვეს:

სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მზაობა იმოქმედონ შეთანხმებულდ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მათ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების ზღვრული მოცულობები და ხარჯთაღრიცხვების დაზუსტების შემთხვევაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები წარმოადგინონ გონივრულ ვადებში

ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე ერთი თვის ადრე, რათა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ჰქონდეს ვადა
შენიშვნების გათვალისწინებისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ასასახად.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი
სამოქმედო გეგმა, წარედგინოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად და მუნიციპალიტეტის სამსახურებმა
გააგრძელონ მუშაობა საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე: კენან ომაროვი

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრეები:
მერის პირველი მოადგილე როინ დეკანოიძე

მერის მოადგილე თემურ შუბითიძე

მერის მოადგილე ზურაბ ფანგანი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი კობა ჩხიტუნიძე

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მამუკა შუბითიძე

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის განვითარების
სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ილია ყალაბეგაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ–ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აგილ ამირჯანოვი

ჯანდაცვის,სოციალური უზრუნველყოფის,კულტურის,
სპორტის,ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის
სამსახურის უფროსის მ.შ. დავით არუშიძე